



USAID
აშშ-ს საგარეო უწყვეტი დახმავების სააგენტო

პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



Chemonics
Development works here

PRESS RELEASE

გავრცელდეს დაუყოვნებლივ

9 ივნისი, 2017

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:

სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქეთი რეხვიაშვილი, კომუნიკაციების მენეჯერი

ტელეფონი: 032 222 7495

ელ-ფოსტა: krekhiashvili@zrda.ge

საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა-დიალოგი თემაზე - ქართული დედა ფუტკრის ექსპორტისა და ვეტერინარული სერტიფიკატის გაცემა

სასტუმრო “ბეტსი”, თბილისი - 2017 წლის 9 ივნისს, USAID/Zrda პროექტის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, გაიმართა ქართული დედა ფუტკრის ექსპორტის საკითხებისადმი მიძღვნილი შეხვედრა, სადაც საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა განიხილეს დედა ფუტკრის ექსპორტთან დაკავშირებული სირთულეები და ხარვეზი და განსაზღვრეს მათი მოგვარებისა და გამარტივების მექანიზმები. შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნოდარ კერესელიძე, USAID/Zrda პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე ქეთევან ჭუმბურიძე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები და ექსპერტები მეფუტკრეობის საკითხებში.

თავისი უნიკალური ბიოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებების გამო, ქართულ დედა ფუტკარზე მაღალი მოთხოვნაა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. უდიდესი საექსპორტო პოტენციალის მიუხედავად, დედა ფუტკრების მწარმოებელი ფერმერების ინფორმაციით, მათი ქვეყნიდან გაყვანა, ფაქტობრივად, არ ხორციელდება რთული საექსპორტო პროცედურებიდან გამომდინარე, რომელთა შესახებაც ფუტკრის მწარმოებელ ფერმერებს ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ. აღნიშნული შეხვედრის მიზანია მოხდეს საკითხისადმი მეტი აქტუალობის შექმნა, პრობლემების გამოკვეთა როგორც დედა ფუტკრის წარმოების ასევე მისი ექსპორტირების საკითხებში და პრობლემების გადაწყვეტის გზების დასახვა.

USAID/Zrda არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 70 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდებათ შემოსავლები და



USAID
აშშ-ს სახმარაგო

პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



Chemonics
Development works here

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემებს. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge> და www.zrda.ge

USAID-ის საქმიანობის შესახებ საქართველოში: უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ამერიკელმა ხალხმა USAID-ის საშუალებით 1.5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი თანხის ინვესტიცია განახორციელა საქართველოში. პროექტები, რომელთა მიზანია დახმარება გაუწიოს საქართველოს თავისუფალი და განვითარებული დემოკრატიის მშენებლობაში, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესება. USAID-ი ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.usaid.gov/georgia>